საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 19 ოქტომბერი, 2023 წელი

დრო: 20:00 - 22:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ნათია კუპრაშვილი - ჟურსანისტიკის რესურს ცენტრი
3. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
5. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
7. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
8. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
9. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
10. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
11. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხი:

- საბჭოს წევრის მიერ დასმული საკითხის განხილვა
- მემორანდუმის საკითხის განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრაში მონაწილეობდნენ პლატფორმის თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები ლაშა ტუღუში, ნონა ქურდოვანიძე, დავით ცისკარიძე, კონსტანტინე ჟღენტი, ქეთევან ცხაკაია, ნუგზარ კოხრეიძე, ირინა ფუტკარაძე, ცირა მესხიშვილი, ლაშა ბლიაძე და ეროვნული კოორდინატორი ნათია კუპრაშვილი სათათბირო უფლებით.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო ჩხობაძემ.
საკოორდინაციო საბჭოს წევრის, პირველი სამუშო ჯგუფის კოორდინატორის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნონა ქურდოვანიძემ, წამოაყენა საკითხი, რომ მმართველ კომიტეტს ემსჯელა საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც საიას წარმომადგენლის ყოფნას უკავშირდებოდა საკოორდინაციო საბჭოში.
საბჭომ განიხილა აღნიშნული საკითხი. მმართველი კომიტეტის წევრებმა გამოხატეს წუხილი ამ გაუგებრობის გამო. წევრების უმრავსელობა მიიჩნევს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაგს საიას წარმომადგენლის ლეგიტიმურობის საკითხი. შეხვედრის მიმდინარეობისას განიხილეს წესების კონკრეტული მუხლები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ საკითხს. მიმდინარე შეხვედრაზე განიმარტა, რომ საბჭოს მიერ იანვარში მიღებული გადაწყვეტილება სრულად თანხვედრაშია წესდებასთან. ასევე, საკოორდინაციო საბჭო თანხმდება, რომ წესდებაში კონკრეტული მუხლები უნდა გაიწეროს მკაფიოდ, რათა წესდება არ იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას. შესაბამისად, საერთო კრებადმე უნდა მომზადდეს ცვლილებების პროექტი, რომელსაც კენჭი ეყრება ყრილობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვის პროცესში მონაწილეობას იღებდა საკოორდინაციო საბჭოს 8 წევრი.
მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოს პარლამენტსა და ეროვნულ პლატფორმას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკრეტულ 3 პუნქტთან დაკავშირებით გაგრძელებული მოლაპარაკებების შედეგად, პარლამენტთან შეთანხმება შედგა 2 პუნქტზე. ერთ მუხლთან დაკავშირებით კი მხარეთა შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა.
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღთან დაკავშირებით კი პლატფორმის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დოკუმენტზე ხელმოსაწერად დროის ფაქტორი არის შეზღუდული პარლამენტის მიერ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მემორანდუმის ხელმოწერისთვის პლატფორმის თავმჯდომარეს შესთავაზა 20 ოქტომბერი. აქვე დაზუსტდა, რომ მოლაპარაკებების რესურსი პარლამენტთან ამოწურულია, რადგან ამ საკითხზე მსჯელობა 3 თვეა მიმდინარეობს.

შეხვედრაში მონაწილე საბჭოს წევრებმა არგუმენტირებული მსჯელობა გამართეს

ხელმოწერის მიზანშეწონილ თარიღთან დაკავშირებით. მხარეთა პოზიციები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. საკოორდინაციო საბჭოს წევრთა უმრავლესობა (კონსტანტინე ჟღენტი, ქეთევან ცხაკაია, ირინა ფუტკარაძე, ნუგზარ კოხრეიძე) მიიჩნევს, რომ რეკომენდაციების შესრულების ნაწილში, კონკრეტულად კი მე-10 პუნქტის შესრულების კონტექსტში, მნიშვნელოვანია რომ თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდეს და თუ პარლამენტი არ თანხმდება მემორანდუმის ხელმოწერის გადადებას თუნდაც რამდენიმე დღით, უმჯობესია რომ დოკუმენტს მოეწეროს ხელი შემოთავაზებულ დროის მონაკვეთში, რათა არ დაიკარგოს არსებული შესაძლებლობა.

საბჭოს წევრთა განსხვავებული დამოკიდებულებები დაფიქსირდა ხელმოწერის თარიღთან დაკავშირებით. საბჭოს უმრავლესობა თანხმდება, რომ ხელმოწერა მნიშვნელოვანია, თუმცა გასათვალისწინებელია ის რეალობა რაც შექმნილია. დოკუმენტზე ფორსირებულ რეჟიმში ხელმოწერის მოწინააღმდეგეთა (ლაშა ტუღუში, დავით ცისკარიძე) არგუმენტები ეფუძნება იმ პოზიციას, რომ მნიშვნელოვანია მეტი მსჯელობის გამართვა და დამატებითი კონსულტაციების გავლა ყველა მხარესთან, როგორც პლატფორმის წევრებთან, ისე კოალიციის გარეთ. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმ მხარდაჭერას, რომელიც გამოიხატება იმ შემთხვევაში, თუ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ელჩები და ევროკავშირის ელჩი საქართველოში, მიიღებენ მონაწილეობას მემორანდუმის გაფორმების პროცესში. დოკუმენტზე ხელმოწერის თარიღის რამდენიმე დღით გადადება საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ პროცესის მეტი ეფექტურობა. ეს დამატებით გაამყარებს პლატფორმის პოზიციებს და პროცესს მეტად ღირებულს გახდის. საკითხზე გამართულ დისკუსიის პროცესში ჩართული იყო ეროვნული კოორდინატორი, ნათია კუპრაშვილი, რომელიც იზიარებდა პოზიციებს თარიღის მნშვნელობასთან დაკავშირებით და ეთანხმება მოსაზრებას, რომ უკეთესი იქნება თუ მოხერხდება მემორანდუმზე ხელმოწერის თარიღის გადაწევა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გათვალისწინებით.
ასევე, საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ნონა ქურდოვანიძე, არ გამოხატავს პოზიციას ხელმოწერის თარიღთან დაკავშირებით, რადგან იგი ამ მემორანდუმი გაფორმებას არ ეთანხმება.

შემაჯამებელ ნაწილში პლატფორმის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი თავადაც იზიარებს არგუმენტს რომელიც გამოითქვა თარიღის გადადებასთან დაკავშირებით და იგი თავადაც მაქსიმალურად ცდილობა ხელმოწერის თარიღის გადავადება მომხდარიყო პროცესში დიპლომატიური წარმომადგენლობების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, თუმცა პარლამენტის მხრიდან პოცესის ფორსირება ხდება.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე